

ვახტანგ მალრაძე

ორმაგთანხმოვნიანი უცხოური სახელები ქართულად

ქართული ენა მრავალსაუკუნოვანი დამწერლობის მქონეა. მას აქვს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბებული გრამატიკული სტრუქტურა, სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერის პრინციპები... მართლწერის წესების დადგენისას ნებისმიერ ენაში მეტ-ნაკლებად მოქმედებს ფონეტიკური, მორფოლოგიური და ისტორიული პრინციპები. ქართული ამათგან უპირატესობას ანიჭებს ფონეტიკურ პრინციპს. ჩვენს ენაში მოიპოვება ბევრი ისეთი სიტყვა, რომლებიც ევროპული ენებიდანაა შემოსული. მათ ძირებში არაიშვიათად გვერდიგვერდ შეიძლება თავმოყრილი იყოს ორი ერთი და იგივე თანხმოვანი. მაგალითად:

bb – *abba*, *abbatissa*, *abbreviatura*, *gibbon*...

gg – *aggregatus*, *buggy*...

cc – *accordéon*, *accordo*, *accredo*, *al secco*, *acceleratio*, *acceptus*, *acceptor*, *accessio*, *accidentia*, *accsise*, *actionere*...

dd – *addo*...

kk – *akkreditiv*...

ll – *alliteratio*, *alluzion*, *ampulla*, *artillerie*, *allāh*, *allegro*, *alligator*, *gallon*, *ballast*...

mm – *anagramma*, *asymmetria*, *gamma*, *grammatika*, *gramme*...

nn – *abonnet*, *annotatio*, *antenna*, *antenna*...

pp – *appartement*, *appassionato*, *appellacio*, *appendix*, *approbatio*, *applico*, *applicatio*, *applaudissent*...

rr – *arrière-garde*, *arrière-scène*, *arranger*, *barricade*, *correctura*, *correctus*...

ss – *assorti*, *assortiment*, *associo*, *assignation*, *assimilatio*, *adressat*, *assistents*, *assemblée*...

tt – *attraqcio*, *attraction*, *attributum*, *attaché*, *attaché-case*, *attestatio*, *arietta*, *galette*...

ff – *affaire*, *affectus*, *affectatio*, *affixus*, *affiche*, *afficher*, *affrico*, *bouffon*, *graffito*... [ჭაბაშვილი 1986].

ქართულისათვის ბუნებრივი არ არის სიტყვის ძირში გვერდ-დიგვერდ ორი ერთნაირი თანხმოვნის თავმოყრა (თუ არ გავითვალისწინებთ ფუძეში ძირეულ და სართისეულ თანხმოვანთა თანხვედრას: ვაზ-ზე, თას-ს, ატამ-მა, კალათ-თან; დედ-დ-ეზა, უნაღ-დ-ეზა...). უცხოური სიტყვების გადმოღებისას გატარებულია შემდეგი წესი: სიტყვა უნდა დაიწეროს ერთი თანხმოვნით. მაგალითად, ლათინური **grammatika** მველთაგანვე გადმოიცემოდა **გრამატიკა**, **correctura** – **კორექტურა**; ინგლისური **ballast** – **ბალასტი**, გერმანული **akkreditiv** – **აკრედიტივი**, ფრანგული **villa** – **ვილა**; **attraction** – **ატრაქციონი**, **assortiment** – **ასორტიმენტი**... იტალიური **accordo** – **აკორდი**, არაბული **allah** – **ალაჰი**...

ანალოგიური ვითარებაა საკუთარ სახელებშიც.

გვარები: გიომ **აპოლინერი** (Apollinaire), ჯონ **ბელი** (Bell), კეტ **კეტროლი** (Ketroll), რიხარდ **ვილშტატერი** (Willstätter), ერნსტ ედუარდ **კუმერი** (Kummer), ეუგენ არტურის ძე **კაპი** (Kapp), შარლ (Robespierre), კასპარ **ვესელი** (Vessel), იოჰან **იანსენი** (Janssen), ჟანა **ტუსენი** (Tussen), ფრანსუა ოგიუსტ ფერდინან **მარიეტი** (Marianne), ჯოზეფ მერი **პლანკეტი** (Plunkett), ზარბარა **ხატონი** (Hutton)...

სახელები: **ალან** (Allan) ედგარ პო, **ელა** (Ella) ფიცჯერალდი, ლედი **ნელი** (Nellie) მელბა, **ალესანდრო მორეტო** (Alessandro Moretto), **აპოლონი** (Apollon) – ბერძნული მითოლოგიური ღმერთი, **აკილეუსი** (Achilleus) – „ილიადაში“ ერთ-ერთი უმამაცესი გმირი, **იზაბელა** (Isabella) კამინსკა, **ბელა** (Белла) ახმადის ასული ახმადუ-ლინა, **ემა** (Emma) უინსტონი, **ანა** (Анна) ანდრეის ასული ახმატოვა (გორენკო), **სიენა** (Sienna) მილერი... [უპსოლ 1986]. არცთუ იშვიათად ქართულშიც ვხვდებით ორმაგი თანხმოვნებით გაფორმებულ სახელებს: **ანნა** ბარდაველიძე, **ანნა** დოიაშვილი, **ანნა** იმედაშვილი... (სია სავსეოდ გრძელდება).

როგორც ითქვა, ქართული ენისათვის მიუღებელია გაორმაგებული თანხმოვნების გამოყენება. თუმცა, ხმოვანთა გამეორებას ენა არ ერიდება: ქართული საკუთარი სახელები – **ბაადური**, **ზაალი**, **პაატა**; უცხოური – ფრანგ **ბაადე** (Baade), ფრანგ ქსავერ ფონ **ბაადერი** (Baader), **ბაალი** (baal)... [უპსოლ 1986].

დღეს თითქოს ქართულში ფეხს იკიდებს მასესხებელი ენის ნორმათა მიხედვით დაშვებული ფორმები, რის გამოც მხატვრულ

ლიტერატურასა და პრესაში მომრავლდა ორმაგთანხმოვნიანი სახე-
ლები.

მაგალითები:

„წყაროებში მოიხსენიება მართა და ბორენა დედოფლების მი-
ერ აშენებული მონასტერი, **კაპპათა**, დელავეტელთა ქალების მონას-
ტერი...“ [ზიბილეიშვილი... 2011]; „ – რა ქნა, **მასსა** ბრეის?“ [დოლი-
ძე... 1998]; „– რატომ, **მასსა** ბრეის?“ [იქვე]; „– ...ესენი გაფიქრებთ,
მასსა ბრეის?“ [იქვე]; „მწერალი **ესსეში**¹ „ჩემი ცხოვრება“ წერს... [სა-
რკე“, N20, 2010]; „მამა – სერ ლესლი – ცნობილი **ესსეისტი**... გა-
ხლდათ“ [იქვე, N39, 2006]; „ღირსი **აბბა** დოროთე მოღვაწეობდა...“
[იქვე, N14, 2015]; „მას ახალგაზრდა მედდა, **ჰანნა** უვლიდა...“ [იქვე,
18, 2018]; „ტანაკილ (**ტანნი**) ლეკლერზე მან 1952 წლის მიწურულს
იქორწინა“ [იქვე, N41, 2011]; „მხოლოდ იმიტომ, რომ გვერდით **ტან-
ნი** ჰყავდა?“ [იქვე]; „რეჟისორ დათო დოაიშვილის... ქალიშვილი, **ან-
ნა** 16 წლის არის“ [იქვე, N32, 2014]; „წმინდა **ანნა** დაიბადა...“ [იქვე,
N5, 2015]; „**ანნა** კადინსკაიას ინიციატივა იყო...“ [იქვე, N52, 2013];
„**ანნა** კი... მათი საერთო შვილია...“ [იქვე, N28, 2015]; „– **ანნა**, თქვენი
ძირითადი საქმიანობა რა არის?“ [იქვე, N11, 2011]; „**ანნა** ლაპიაშვი-
ლი ტელეწამყვანობაში ცდის თავს“ [იქვე, N5, 2018, გვ. 44.]; „**ანნა**
იმედაშვილი აფხაზეთს ესტუმრა“ [იქვე, N32, 2014]; „ოი **ანნა** ბარ-
დაველიძე გახლავთ“ [იქვე]; „...წარღვნის შემდეგ გადარჩნენ მხო-
ლოდ მამრი დევკალიონი და მდედრი **პირრა**...“ [იქვე, N26, 2015];
„მიდის საღამო და ჭიქას მივსებს, და ვუსმენ, ვისმენ **ელლა** ფიცჯე-
რალდს...“ [ამაშუკელი 1987]...

აღსანიშნავია აგრეთვე მარკეტებსა თუ სარეკლამო აბრეზზე
მიწერილი უმართებულო ფორმები, მაგალითად, დიო**ჯჯი** (Di-
o**GGI**) – რუსთაველის 46, ბელ**ლისსა** (bell**Issa**) – აღმაშენებლის ხეი-
ვანში, დონ**ნა** (DON**NA**) – ყაზბეგისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთა-
ზე და ა. შ.

ეს შეზღუდვა, რა თქმა უნდა, არ შეეხება აბრევიატურებს
(თავკიდური ასოებით შედგენილ სიტყვებს, მაგ., გასული საუკუნის
უპოპულარესი მუსიკალური ანსამბლი „აბბა“ ...).

¹ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იწერებოდა **ესსე** (**ესსეი**), ბოლოს უპირა-
ტესობა ქართული ენის პრინციპების სასარგებლოდ გადაწყდა, შესაბამისად, დამ-
კვიდრდა მართებული ფორმა **ესეი**, თუმცა უმართებულო ვარიანტები მაინც
დასტურდება.

ამდენად, ქართული ენის მართლწერის პრინციპების გათვალისწინებით, უცხოური სახელები, რომელთა ფუძეში გაორმაგებული თანხმოვნები გვხვდება, ქართულად ერთი თანხმოვნით უნდა გადმოვიდეს:

საკუთარი სახელები: **ანა, ბელა, ელა, ემა, ნელი, სიენა, ტანა... ტუსენი, კეტროლი, ხატონი...**

საზოგადო სახელები: **მასა, ესეი, აბა, ბელისა...**

ლიტერატურა

ამაშუკელი 1987 – რ. ამაშუკელი, „ისევ შენდამი“, თბილისი.

ბიბილეიშვილი... 2011 – ბიბილეიშვილი, ლ. თავდგირიძე, „სტუდენტთა საუნივერსიტეტო სწავლებისა და აღზრდის საკითხები, თბილისი.

დოლიძე... 1973 – მაინ რიდი, ტ. 3, თარგმანი გ. დოლიძისა და ი. კენჭოშვილისა, თბილისი.

„სარკე“ – ჟურნალი „სარკე“, N 39, 2006; N20, 2010; NN 11, 41, 2011; N52, 2013; N32, 2014; NN 14, 15, 26, 28, 40, 2015, თბილისი.

უბსოლი 1986 – უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ჭაბაშვილი 1986 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

Vakhtang Maghradze

Foreign Nouns with Double Consonants in Georgian

Summary

When defining the orthographic rules, phonetic, morphological and historical principles are more or less used in any language. The Georgian language prefers the phonetic principle. In our language there

are a number of words that have entered the language from the European languages. In their roots double consonants can frequently be found, e.g.

bb – **abba**, **abbatissa**, **abbreviatura**, **gibbon**...

gg – **agg**regatus, **buggy**...

cc – **accordéon**, **accordo**, **accredo**, **al secco**, **acceleratio**, **acceptus**, **acceptor**,
accessio, **accidentia**, **accise**, **actionere**...

dd – **addo**...

kk – **akkreditiv**, etc.

It is not natural for the Georgian language to have two same consonants next to each other in a word root. A word should be written just with one consonant. For example, Latin *grammatika* is transliterated as *gramatika*, *correctura* – *korektura*; English *ballast* – *balasti*, German *akkreditiv* – *akreditivi*, French *villa* – *vila*; *attraction* – *atrakcioni*, *assortiment* – *asortimenti*... Italian *accordo* – *akordi*, Arabic *allāh* – *alahi*...

The situation is similar regarding given names and last names.